საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3856
26/07/2022

3856-21-2-202207261726

შპს „ქიმანტიკორს“
მის: დაბა ბაკურიანი, დასახლება „ანდეზიტი''
ელ. ფოსტა: natelagogoladze@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3003 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, ანდეზიტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

როგორც №21/2764 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები) გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საწარმოში გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესის სრული ციკლის შესახებ (ნედლეულის შეტანიდან საბოლოო პროდუქტის მიღებამდე);
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტების ჩამონათვალი, გენგეგმაზე დატანით, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის, საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;

ამასთან:

- დოკუმენტში წარმოდგენილი წყალაღება/წყალჩაშვების GPS კოორდინატები არ შეესაბამება სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ

მიმდინარე წლის 24 ივნისს განხორციელებული დათვალიერების შედეგად აღებულ GPS კოორდინატებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- დოკუმენტის თანახმად მდინარე ბორჯომულადან საწარმოო დანიშნულებით აღებული წყლის რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 30 240 $მ^3$-ს, ხოლო გამოყენებული წყალი, 20%-იანი დანაკარგით, ბრუნდება მდინარის კალაპოტში წელიწადში 6 048 $მ^3$-ის რაოდენობით. აღნიშნული საჭიროებს განმარტებას და შესაბამის დასაბუთებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოს ტერიტორიას ირგვლივ აკრავს ტყით დაფარული ტერიტორიები, თუმცა განხილული არ არის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო